



IX წ. საქართველო ზაზაძე. IX წ.

№ 23. კვირა, 3 ივნისი 1901 წელს. № 23.

გაზეთის ფასი: ერთი წლით თფილისში 7 მან., ნახევარი წლით 3 მ. 50 კ., თფილისის გარეთ ერთი წლით 8 მან., ნახევარი წლით 4 მან., სამი თვით 2 მან., თითო ნომერი - სამი შაური.
სკლას მოწერა მიადება: თფილისში - «წერა. კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების» კანცელარიაში. და «კვალის» რედაქციაში, საპორტის ქ., № 15.
ტელეფონი № 734.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція „КВАЛИ“.

შინაარსი: ჩვენი დღევანდელი პრესა ნ. ყორღანისი. — შინაური მიმოხილვა. — სხვა-და სხვა ამბები. — ყორღანისი. — წერილი ბათომიდან. — რუსეთის ცხოვრება. — წერილი ციმბირიდან გოგოლაძისა. — საზღვარგარეთ. — ნაწევრები, თომაშვილისა. — ცნობის მიღება ან. ჩეხოვიდან. — ქართული საერო პოეზია (შემდეგი) ი. გომართლისა. — თბილისის სათავად-აზნაურო ბანკის რწმუნებულთა კრება ი. წ-სა. — განცხადებანი.

ჩვენი დღევანდელი პრესა.

II.

როგორც პირველ წერილში ვთქვი, „ცნობის ფურცლის“ რედაქციამ ამ ნახევარი წლის განმავლობაში ვერც ერთი პრინციპიული წერილი ვერ მოგვცა და მით თავისი უპრინციპობა აშკარათ დამტკიცა. სამაგიეროდ, მას მიეშველა ბ. არ. ჯორჯაძე და რამდენიმე წერილში მან აღძრა ჩვენი „საჭირ-ბოროტო კითხვები“. ის ერთობ პირდაპირი და გულ-აზლილი მწერალია. ამბობს მხოლოდ იმას, რასაც ფიქრობს და სრულიად არ მეცადინებთ თავის აზრს რაიმე სისტემატიური გამოხატულება მისცეს. ამიტომ ერთ და იმავე კითხვას მრავალჯერ უბრუნდება და ხშირათ სხვა-და-სხვა ნაირათ სწყევტს. ასე, რომ ჩვენ არ ვიცით მეორე მწერალი, რომელსაც იმდენი ლოდიკური ნახტომები და წინააღმდეგობა ჰქონდეს, რამდენიც ბ. ჯორჯაძეს მოეპოვება. ასეთი უსისტემო ნაწერების დახასიათება ყოველთვის ძნელია და თუ მაინც არ მოეშვებით, პირველ ყოვლისა საჭიროა თვით თქვენ შეიტანოთ სისტემა, მწერლის გაბნეულ-გამოძნეული აზრები ერთ ძაფზე აასხათ და მით მისი ღირსება ნაკლებდებოდეს ნათელჰყოთ. სწორედ ასეთ ღოსტაქრობას მოითხოვს ბ. ჯორჯაძის წერილები და ამას მით უფრო სიამოვნებით ვტყვირთულობთ, რომ გვეძლევა მიზეზი ერთხელ კიდევ გამოვთქვათ ჩვენი შეხედულობა ზოგ საღარო კითხვების შესახებ.

ბ. ჯორჯაძე თავის პირველ წერილში ჩვენს საზოგადოებას ჰყოფს ორ პარტიათ: „ერთის მხრით, ერთი ნაწილი ჩვენის საზოგადოებისა, ძველთა გმირთა მოგონებით გატაცებულნი, ოცნებობს წარსულის ცხოვრების შესახებ და, თვალზე დახუჭილს, არა სურს დაინახოს რთული პირობები თანამედროვე ცხოვრებისა, თავს არ იტყვიებს აწინდელის წეს-წყობილების უთანხმოების ასაკილებლათ, და ასე კი შეუძლებელია ნორმალური წარმატება ჩვენი ერისა. მეორეს მხრით კი, ჩვენი ახალდაბადებული ეგრედ

წოდებული „მესამე დასი“ საქართველოს ორ კლასათ ჰყოფს და ამბობს ამ კლასათა შორის ეკონომიური განხეთქილება არსებობსო, რის გამოც მათ აწავითარა საერთო ინტერესები არა აქვთო. ეს დასი იმის ცდაშია იდეოლოგიურათ შექმნას განკერძოებული კლასები და ეს მისი ცდა ეწინააღმდეგება ხშირათ ქართველი ერის ნამდვილ ინტერესებს“ (№ 1358).

აქედან ცხადია, ბ. ჯორჯაძე იწუნებს როგორც კონსერვატორთ, ისე დემოკრატთ და მით თვითონ მეცადინებდს რაღაც შუათანა პარტია შექმნას. ვითომ-და თუ კი პირველი და მესამე დასი არსებობს, რატომ მეორე დასი არ უნდა გამოიჩეკოსო, და აი, ბ. ჯორჯაძესაც ამ საქმის მეთაურობა მოუსურვებია. რა სახისაა ეს მის მიერ შეზავებული „კონსერვატიულ-დემოკრატიული“ (თუ შეიძლება ასე ითქვას) მიმართულება? ამას ჩვენ ადვილათ გავიგებთ, თუ გავითვალისწინებთ მის მიერ „მესამე დასის“ ზემოთ მოყვანილ დახასიათებას. ეს დასიო, ამბობს ის, საქართველოს ჰყოფს ორ კლასათ, რომელთა შორის ეკონომიური განხეთქილებაა, „რის გამოც მათ აწავითარა საერთო ინტერესები არა აქვთო“. მაგრამ ნამდვილათ კი ერთი ვერასოდეს ვერ დანაწილდება ისე, რომ ამ ნაწილთა შორის რაიმე საერთო ინტერესი არ იყოს. რაკი ეს ასეა, ბ. არ. ჯორჯაძესაც საქმე გაუადვილდა, მონახა „საერთო ინტერესები“ და გამოაცხადა, აი თქვენ როგორი ბრძმები ხართ, ამ აშკარა ფაქტსაც ვერ ხედავთო. აქედან მან შეამუშავა «საერთო ინტერესების» პროგრამა და ეს ახალ პროგრამათ გამოიტანა.

* ავტორი ამ პარტიას უწოდებს «ბურჟუაზიულ-ეროვნულს» და თან ხსნის: «ჩვენ ვამბობთ იმ პირთა შესახებ, რომელთა იდეალი ძველი ფეოდალური საქართველოა. მაგრამ ვინ არ იცის, რომ ბურჟუაზია და ფეოდალიზმი ერთმანერთს ძირიანათ ეწინააღმდეგებან და ვინც მათ ერთმანერთში ურევს — წარმოდგენაც არა აქვს არც ერთზე. განა შეიძლება ფეოდალს ბურჟუა დაეარქვათ და ბურჟუას ფეოდალი? კარგია ვიცოდეთ, ბ. ჯორჯაძე რა მოსაზრებით აბრუნებს ასე უეღმა ისტორიას?»

მაგრამ ერთი ვიკითხოთ: მართლა ვთქვით ოდესმე, რომ ქართველობას „არავითარი საერთო ინტერესი“ არა აქვსო? არა, ეს არასოდეს არ გვითქვამს და, მაშასადამე, ბ. ჯორჯაძის ფანტაზიის ნაყოფათ უნდა ჩაითვალოს. პირიქით, ჩვენ არა ერთხელ გაგვირკვევია, სად არის «საერთო ინტერესები» და სად არა. ჯერ კიდევ 1894 წ. პირველ ჩვენ საპროგრამო წერილებში ვწერდით: „საქართველოს დღევანდელი განვითარება შეიცავს ორ მხარეს, ორივეს აუცილებელს და ერთმანეთთან მჭიდროდ შეკავშირებულს. ნივთიერათ გაჭრთიანება სხვა-და-სხვა კუთხის და ნივთიერათ დაყოფა ქართველი ხალხის. ორივე ხდება აღებ-მიცემობის, კაპიტალის წყალობით. პირველ შემთხვევაში თუ ერთი კრთდება იდეებით კრთუნულ ნიადაგზე, მეორე შემთხვევაში იგივე ერთი ნაწილდება კონომიურათ თვით-ცნობიერების ნიადაგზე“^{*}). როგორც ხედავთ, აქ გამოთქმულია პირდაპირ იმის წინააღმდეგი, რასაც ბ. ჯორჯაძე თავზე გვახვევს. და ეს არ ებატივება მას, მით უფრო რომ თითქმის ყველა წერილში სამშობლო ენის და ლიტერატურის შესწავლის საჭიროებას ქადაგობს და პირველს თვითონ მას არ სცოდნია ეს ლიტერატურა! სამშობლო ლიტერატურის უცოდინარობა ბ. ჯორჯაძის ნიშნობლივი თვისებაა და ამიტომ ხშირათ ისეთ კითხვებს წამოაყენებს და სადაოთ ხდის, რომელიც ჩვენს მწერლობაში კაი ხანია წამოყენებულა და გადაჭრილა.

თავის თავათ ცხადია, რომ სამშობლო ენა, ლიტერატურა, ისტორია—ერთი სიტყვით კულტურა—ის დედაბოძია, რომელზედაც დაყრდნობილია ყოველნაირი პარტია, რა მიმართულებისაც უნდა იყოს იგი. ბ. ჯორჯაძემ კი ეს აშკარა ფაქტი ჩვენ გამოგვაცალა და თვითონ მიისაკუთრა—თქვენ კი არა, ჩვენ ედგავართ ამ ნიადაგზე! და მერე მოყვა ჩვენს რწმუნებას, ყველა ეს ძალიან საჭიროაო! აი ასე თავდაყირა დაგვაყენა ბ. ჯორჯაძემ და მერე შეუდგა თავის საქმეს—საქმეს „მეორე დასის“ შექმნისას.

ავტორი სწერს: ჩვენი „საერთო ინტერესია“ ჩვენი ეროვნობა, ყველა ამას უნდა ვემსახურებოდეთ და დასადასათ დაყოფა უკუვაგდოთო (№ 1416, 1463 და სხვ.). ე. ი. ქართველობა ერთ პარტიას უნდა შეადგენდეს და ერთი პროგრამით (ამ შემთხვევაში ბ. ჯორჯაძის) ხელმძღვანელობდესო. ის რომ ჩვენს მწერლობას იცნობდეს, გაიგებდა, რომ სწორეთ ამასვე სწერდა „ივერია“ ამ ხუთი წლის წინეთ, რამაც დიდი კამათი და აზრთა შეჯახება გამოიწვია. აი „ივერიის“ სიტყვები: მესამოცე წლების მწერლებმა „აღძრეს ერთი დიდი საგანი, ეროვნული თვით-ცნობიერება, ეროვნული თავის დაცვა და განვითარება ერისა ევროპიულ სწავლა-მეცნიერების საშუალებით. დღეს დროთა ვითარების გამო ჩვენ უკვლახნი შეკადგენთ ერთ ზარტას, ერთის აზრით გამსჭვალულს“ და სხ. (1895 წლ. № 15).

ამ ნაირათ, ბ. ჯორჯაძე იმეორებს „ივერიის“ დედა-აზრებს და ჩვენც გვიწვევს გავიმეოროთ ჩვენი მაშინდელი პასუხი. მაგრამ რადგან ჩვენ არ გვიყვარს ბ. ჯორჯაძესა-

^{*}) ის „მათბე“ № 5—ს, „ეკონომიური წარმატება და ეროვნება“, რომლის დედა აზრი მოყვანილი გვაქვს „კვალში“ 1895 წ. № 11 და სხ. წერილი „გაზ. ივერია და ეროვნება“, ის „ავრეთვე კვალში“ 1896 წ. „მესამოცე წლების მოღვაწენი და დღევანდელი ცნობრება“ და სხ.

ვით თავისი თავის მეორება, ამიტომ იმ პასუხზე მკითხველს მხოლოდ მიეუთითებთ („კვალ“ 1895 წ. № 16, 17, 28, 29 და სხვ.) და ისევე განვაგრძობთ ბ. ჯორჯაძის „ახალი“ პროგრამის განხილვას. ამან აღძრა კითხვა ეროვნული, მზგავსათ „ივერია“^{*}, მაგრამ ვერ აგვიხსნა, აქაც „ივერიასავით“, რა არის ეს კითხვა, რას შეიცავს ეროვნობა. ის თავს დასტრიალებს ამ საგანს და მეცადინეობს მის გარკვევაში ხან „ივერია“ დაემზგავსოს, ხან ჩვენ. ავტორი სწერს:

„ეროვნული კითხვა არა არის რა, თუ არ წესიერად წამოყენებული კითხვა აღადმიანთა სიცოცხლისა და თავისუფლებისა თანახმად იმ პირობათა, რომელთანაც საქმე აქვს აღადმიანს ამა თუ იმ დროს“ (№ 1358).

ჩვენებურათ რომ ვთქვათ, კითხვა აღადმიანის სიცოცხლისა და თავისუფლებისა ყოფილა ეროვნული კითხვა! გაიგეთ რამე? უჭკველია, ვერა, რადგანაც ასეთ კითხვას ეროვნული კი არა და ყოველ ნაირი კითხვა შეგიძლიათ დაარქვათ. ეს ახსნა კი არა აუხსნელობაა. ჩაცყვეთ ქვევით, ეგების სხვაგან უფრო გარკვეულათ იყოს ნათქვამი.

«ჯერ ერთი უნდა დავიცვათ და მერე ის ვიზრუნოთ, თუ რა გზაზე დავაყენოთ იგი, როდესაც მოწამე ხარ ერის გადაგვარებისა, როდესაც ჰხედავ, რომ ეს გადაგვარება ერთნაირათ ემუქრება ხალხის ყველა კლასთ. პირველი აზრი, რომელიც უნდა დაიბადოს ამ ხალხის სიღრმეში—თუ ჯერ კიდევ სრულიად არ არის ღონემიხდილი—არის აზრი საერთო აღორძინებისა და საერთო მოქმედებისა თავის ვინაობის დასაცავათ და შესარჩენათ» (იქვე).

რა არის ეროვნობა? ეროვნობა ყოფილა თავისი ვინაობის დაცვა და შერჩენა. ამის საშუალებაა შემდეგი:

«ჩვენს პირობებში ეროვნობა უმთავრესად იქნება ქართველ ხალხის ყოველმხრივ წარმატებისა და აღორძინებისათვის»—ამბობს იგივე ავტორი (№ 1438, ფელეტ.).

აქედანაც ცხადია, ეროვნობა არის ერის ვინაობის, ანუ ერის დაცვა, რაიცა ნიშნავს საერთო აღორძინებას, რასაკვირველია, ხოლო ამ აღორძინების იარაღია ეროვნობა! ე. ი. ეროვნობის დაცვა შეიძლება ეროვნობითო. ანუ ეროვნობა არის ეროვნობის დაცვა ეროვნობის საშუალებით! მოკლეთ—ეროვნობა არის ეროვნობაო, გვასწავლის ბ. ჯორჯაძე.

დიან, ბ. ჯორჯაძე საოცრათ იმეორებს ჯერ კიდევ 1895 წ. «ივერიაში» გამოთქმულს და «კვალში» დარღვეულს აზრს უშინაარსო ეროვნობის შესახებ^{*}).

ასე თუ ისე, ბ. ჯორჯაძე გადაჭრით ამბობს, რომ «ერთათ ერთი ეროვნობაა» ყოველმხრივი განვითარების იარაღიო. ეს ასეა ერთ წერილში. მაგრამ მეორე წერილში ეროვნობას ეცვლება ელფერი და სხვაფერდება. აქ ის «ყოველმხრივი განვითარების იარაღი» კი არ არის, არამედ, პირიქით, «ყოველმხრივი განვითარებაა» ეროვნობის იარაღიო. აი როგორ ხდება ეს თვალთმაქცობა: ავტორი ეძებს საერთო მოქმედების ნიადაგს და ჰპოებს შემდეგში: «ა) ქართული ენის დაცვა, ბ) ქართული ვაჭრობა-მრეწველობის შექმნა და გ) ქართულ მეურნეობის ქართველთა

^{*}) „ივერია“ სწერს: „ჩვენს ეროვნულ პრინციპს საფუძვლათ უდევს მთელი ერის ყოველმხრივი განვითარება, რათა ამით ჩვენს ერსაც შეეძლოს თავის მხრივ შეიტანოს წვლილი ევროპიურობის კულტურაში“. და კიდევ: ეროვნო ის საქმეში „ეკონომიური ბრძოლა არაფერ შუაშიაო“ (№ 16, 69).



ხელში შერჩენა» (№ 1416). ქართულ ენასთან «ვიწრო-და(!)დაკავშირებული ლიტერატურა და ლიტერატურასთან, საზოგადოთ, ხელოვნება-მხატვრობა, ქანდაკობა და მუსიკა...» (1463). ხოლო მეორე (მრეწველობა და მეურნეობა), უეჭველია, ეკონომიური კითხვაა. ერთი სიტყვით. ლიტერატურული, ეკონომიური—ყოველმხრივი წარმატება ერისა საქირია. რისთვის? მისთვის, რომ გაძლიერდეს თვით ერი, ეროვნობა. მაშასადამე, აქ ეროვნობა იარაღი კი არ არის ყოველმხრივი განვითარებისათვის, როგორც წინეთ სწერდა ავტორი, არამედ მიზანია ყოველმხრივი განვითარებისა. პირველ შემთხვევაში ბ. ჯორჯაძე უახლოვდება «ივერიას», ხოლო მეორე შემთხვევაში «კვალს». მაგრამ რადგანაც ეს ორ-პირი მზგავსება თვით მზგავსების ორპირობასაც, ანუ ლოლიკურ უკუდმართობასაც წარმოადგენს, ამისათვის ბ. ჯორჯაძეც ორ სკამს შუა ზის და მეცადინეობს ხან ერთზე გადაჯდეს და ხან მეორეზე—ეროვნობა მისთვის ხან იარაღია და ხან მიზანი, ორივე ერთათ კი არასოდეს.

ამნაირათ, ბ. ჯორჯაძემ ვერ აგვიხსნა რა არის ეროვნობა, თუმცა ყველა თავის წერილში ეროვნობაზე ლაპარაკობს.

და ეს იმიტომ, რომ მას უთუოთ «მეორე დასის» დაარსება სურს და ამის მუშაობაშია. მართალია, ამ მომავალ დასს არ ეცოდინება, რა არის ეროვნობა, მაგრამ შეიძლება «საერთო მოქმედების ნიადაგი» მინც დაუჩიეს და ამიტომ საქირია ეს ნანატრი ნიადაგიც განვიხილოთ.

მაშ, რას შეიცავს ბ. ჯორჯაძის «საერთო ნიადაგი?»
ბ. უორდანი.

შინაური მიმოხილვა.

ჩვენი საზოგადო დაწესებულებათა კრებების ხანა დადგა. ზოგი კიდევაც დაიწყო და გათავდა და ზოგიც აწი აპირებს დაწყებას და გათავებას. თვითისის სათავად-აზნაურო ბანკის წლევანდელი კრება არაფრით არ იყო შესანიშნავი, თუმცა ერთი კვირე გაგრძელდა. ყველა თავ-თავის ალაგას იყო, გარდა ოპოზიციისა და კრების თავმჯდომარისა. ოპოზიციონისტ უფრო ხშირათ თავმჯდომარესთან უხდებოდათ ბრძოლა და მისი სათავმჯდომარეო კალაპოტში ჩაყენება. მაგრამ ბ. თავმჯდომარე ამით დიდათ არ იწუხებდა თავს და ჩვეულებრივით განაგრძობდა თავის საქმეს—საქმეს დებატების უსუსტემოთ მართვისას და მხოლოდ გამკობის წინაშე თავის დაკრისას. ერთმა იხუმრა, ჩვენი თავმჯდომარე გამგეობის თავმჯდომარისაგან თხოულობს სიტყვის ნება-რთვასო. ეს, რასაკვირველსა, ხუმრობა იყო, მაგრამ ხშირათ ისე გადმოიხედავდა თავმჯდომარე გამგეობისაკენ, რომ ასე გეგონებოდათ, ემუდარება—შემიბრალებო, რამეთუ არ ვიცი როგორ მოვიქცეო. ამ სახელოვან თავმჯდომარეს გარდა თავი ისახელა თვით კრებამ საერთოთ და რამდენიმე წევრმა კერძოთ. პირველმა იმით, რომ ერთი თავისი შარშანდელი განაჩენი წელს გააუქმა, რადგანაც ეს მითხოვა თვით გამგეობამ. და, მოგვხსენებათ, შიშხანებას გამგეობისას კრება ვერ უძლებს ხოლმე. ხოლო მეორეთა შორის საყურადღებო იყო ბ. ივ. რატიშვილი და მისი «რეჩი» ქართულ დრამატიულ საზოგადოების წინააღმდეგ. მან ჩვეულებისამებრ დაიჭეჭა, ნუ მიეცემთ ქართულ თეატრს დახმარებასო, რადგანაც... რადგანაც წარ-

მოდგენას გვიან იწყებენ ხოლმეო!.. და, წარმოიდგინეთ, ამ საბუთმა გასჭრა, ბ. რატიშვილს ერთხელ მინც წილათ ხედა თავისი «რეჩის» ნაყოფი საკუთარი თვალით ეხილა. მჭევრმეტყველობაც იმათა ჰქვია, რომ ბ. რატიშვილსავით დაამტკიცო—ორი და ორი ხუთიაო, თვარა უბრალო ლაპარაკს ყველა შესძლებს! დიახ, ბ. რატიშვილი დიდი ორატორი ყოფილა!

* * *

გაცილებით უფრო საინტერესოა ჭიათურის ბანკის კრება ქუთაისში! ჯერ ერთი, რომ ბანკს ჭიათურაში აარსებენ, დამაარსებელნი ჭიათურელებია და კრებას კი ქუთაისში ჩიწნავენ! ეს, რასაკვირველია, ჩვეულებრივი პარტიული იხრიკია და მეტი არაფერი. მოგვხსენებათ, რომ რაღაც მანქანებით სხვილ მწარმოებელთა პარტიამ ქუთაისში მოიპოვა თავანის-მცემელნი; მაშასადამე, აქ ისინი ყოველთვის მოახერხებენ ჭიათურის საქმეები თავის სურვილისამებრ წარმართონ და წერტილ მწარმოებელთ პირში ჩალო გამოავლონ. წელს ამათ ჩალოს მაგიერ ბანკი გამოავლეს პირში და თვითონ ჩაიგემრიელეს. მართალია, ბანკის დაარსება წერილებმა ითხოვეს და წინააღმდეგ სხვილებისა კიდევაც განახორციელეს, მაგრამ ეს დაარსებული საქმე ისევე სხვილებმა ჩაიგდეს ხელში, წერილებს ვერ მივაჩვევთ ქამასო! მრეწველთა საბჭომ ისე გაჩაღხა საქმე, რომ კრებაზე თავისი პარტიის უმრავლესობა შეადგინა და ამათაც, რასაკვირველია, თავისი ხალხი აიჩიეს. საინტერესოა არჩევანი. ყველა რიგიან კრებაზე არჩევნები, განსაკუთრებით ჯამაგირიან ადგილებზე, ხდება დახურული კენჭის ყრით. ეს წესი აღიარებულია ყველაზე უფრო სამართლიანათ და სასურველათ. ქუთაისის «ჭიათურელებს» კი ეს სამართლიანი წესი უარუყვიათ (ხმის უმეტესობით) და გადაუწყვეტიათ ადგომ-დაჯდომით ავირჩიოთ ბანკის დირექტორებიო! და მერე რატომ ეს? იმიტომ, რომ აქ ყველა დაინახავს, ვინ ვის უგდებს შავს და თუ წერალმა სხვილების წინააღმდეგ ვაილაშქრა, მერე აყურებიდნენ სვირს, ბანკში კრედიტის მიცემას გაუჭირებდნენ, ხელს შეუშლიან და სხ. და აი, ასეო «არა-საიმედო» პირთა გასაცნობათ საბჭომ და მისმა ამყოლ-დამყოლმა მიმართა «ადგომ-დაჯდომას». ეს თავისუფალი არჩევანი კი არა, ნამდვილი ძალ-მომრეობაა და ამ ძალ-მომრეობის ნაყოფია ახალი დირექტორები. ამათ შორის გახლავთ უიმედობით შეპყრობილი «პესიმიტი» ბ. კ. აბაშიძე, რომელსაც «ჩინოვნიკობა» თავისუფალ ხელობაზე გადაუცვლია და ჭიათურელთა «გაპესიმიტიება» მოუწადინებია. ნეტარ არიან ჭიათურელები!

* * *

ეს კიდევ არაფერი, თუმცა ასეთი არჩევანი ყოველ რიგიანობას მოკლებულია, მაგრამ ბ. ზდანოვიჩი თავს გაიმართლებს «კანონით», წესდებაში გვიწერიაო (და თუ ასე სწერია, დიდი შეუასამაზა წერებულა). ხოლო სად, რომელ წესდებაში სწერია ის, რომ სამი კანდიდატი «ერთათ» აირჩიონ, როგორც ეს ამ კრებაზე მოუხდენიათ? ბ. ზდანოვიჩს ასე დაუსვამს კითხვა: ვისაც გინდათ ბანკის გამგეებათ კ. აბაშიძე, კ. თუმანიშვილი და ი. ლორთქიფანიძე—ადექითო! მაგრამ განა არ შეიძლება, რომ ამ სამში მე ერთი მსურდეს ან ორი გავათეთრო, სხვა კი არა? ამ შემთხვევაში როგორ მოვიმოქმედო: თუ არ ავდექი—მაშინ ხომ გავაშავე ის, ვისიც გათეთრება მინდა, თუ ავდექი და გავათეთრე ის, ვისიც გავაშავე მინდა, ამიტომ არის ყოველ არჩევნებზე თვი-

თეულ კანდიდატს თითო-თითო ყუთს უდგამენ და არა ყველას ერთ ყუთში ათავსებენ. ბ. ზდნაოვიჩის ეს ელემენტარული წესი არჩევნებისა დაურღვევია და მით საშინელი ძალ-მომარეობა მოუტანა. ამასთანავე ნუ დაივიწყებთ იმას, რომ ამ «ადგომ-დაჯდომაში» დაითვალა ამდგარ-დამჯდარნი და არა ვეჭილობითაც მიცემული ხმები. ასე, რომ ერთ მეკენჭეს შეიძლება, გარდა თავის ხმისა, კიდევ ჰქონდა სხვისი ხმა ვეჭილობით. და აი, ეს ვეჭილობა სახეში არ მიუღიათ. ერთი სიტყვით, ეს კრება კი არა, ძალ-მომარეობაა და ნეტავ ვიცოდეთ რა ხალხი შეადგენდა ამ კრებას, რომ ეს ყოველნაირი წესის დარღვევა დაადასტურა და იქ, ან სხვაგან, ამის წინააღმდეგ ხმა არ აღიმადლა. მართალი მოგახსენოთ, ასეთ პირობებში გათეურება—სამარტყინო გათეთრებაა და ასე ძალათ მოვლენილა «დირექტორები» — ძალათ მაცხონებია.

* *

თფილისის ბედოვლათიან საბჭოს თავის უკანასკნელ სხდომაზე ერთხელ კიდევ წამოუყენებია თავისი «სოლოლაკური» მოძღვრება. ამ ინტელიგენტთა კრებულს ის აზრი გამოუთქვამს, რომ ქალაქის გაჭირვებულთა შესახებ ზრუნვა ქველ-მოქმედებაა, ხოლო ქველ-მოქმედება კი საბჭოს საქმე არ არისო. ე. ი. ქალაქმა არ უნდა იზრუნოს თავის წევრთა კეთილ-დღეობაზე. ეს აღსარება გამოიწვია გამგეობის წინადადება — ქალაქში დაარსდეს ისეთი საზოგადოება, სადაც გარყენილების მორევში შემთხვევით თუ თავის ნებით ჩავარდნილი ქალები შემოიკრიბოს და ამათ დახმარება აღმოეჩინოს პატიოსანი შრომით თავის შესანახათ. ამ დაწესებულებას დიდი მნიშვნელობა აქვს განსაკუთრებით ჩვენში; აქ სოფლებიდან მოტყუებით ჩამოყავთ მრავალი გოგოები, ადგილებზე დაგაყენებთო და მერე უბრალო ცხოველივით გარყენილების ბუდეებში ჰყიდიან. განსვენებულმა ნინოშვილმა ამათგან მთელი ტიპიცი კი შექმნა («ქრისტინე»), ისე ხშირია ასეთი მოვლენა თფილისში. ამათი დახმარება, ყურის-გდება და საშინელი მდგომარეობისაგან დახსნა — ყოველივე აღამიანის მოვალეობაა და მით უფრო ქალაქის. რაკი გამგეობას ერთხელ მაინც ასეთი საკეთილო აზრი მოუვიდა, საბჭოს ის დღის სიამოვნებით უნდა მიეღო და დაემტკიცებინა. მაგრამ სწორეთ საბჭომ უარჰყო იგი, ჩვენი საქმე არ არისო! ბაბოვმა, ანანოვმა და ალიხანოვმა გამოაცხადეს — ეს «ჩვენი საქმე არ არისო!» ნეტავ რა არის მათი საქმე?

* *

თფილისის ყურნალიტებმა განიზრახეს დაარსონ «კავკასიის ბეტდვის საქმის მოღვაწეთა დამხმარე კლასი». წესდების პროექტი უკვე შემუშავებულია და დღეს, საღამოს 8 საათზე, «კავკასიის ვესტნიკის» რედაქციაში კრებაა დანიშნული მის განსახილველათ. წესდებას ბევრი ნაკლულევაწება აქვს და ეს უეჭველია შეწორებული იქნება კრებაზე. ხოლო თვით ეს საქმე ღირსია საყოველთაო თანაგრძობის და დახმარების. ადგილობრივ პრესას არა აქვს ერთი ისეთი შემაერთებელი დაწესებულება, სადაც ყველა პარტიის და მიმართულების მიწერალს შეეძლოს მისკლა და თავის მოყრა. გარდა ამისა, პრესას აქვს საერთო ინტერესი, რომლის დაცვა დიდათ საჭირო და სასარგებლოა. და აი, პრესის ერთი ასეთი ცენტრი იქნება განზრახული საზოგადოება. მისი პირდაპირი მიზანია დაეხმაროს თავის წევრს მოუტყუების თუ სხვა გაჭირვებულ მდგომარეობის დროს, მაგ-

რამ ამასთანავე ის იქონიებს ზნეობრივ გავლენას მთელს პრესაზე, და აი, ამას ჩვენ უფრო მეტათ ვათვსებთ, ვინც იმ ორიოდ გროშს, რომელსაც ოდესღაც საზოგადოება გაიღებს. ამისათვის სასურველია, რომ ამ საქმეს ენერგიულათ მოეკიდონ ინიციატორები და სასურველათ დააგვირგვინონ.

სხვა-და-სხვა ამბები.

დ. ხიდისთავიდან (გურია) გვწერენ: 20 მაისს ე. ნინოშვილის სულის მოსახსენებლათ ზანაშვიდი გადაეხადეთ და დამსწრე საზოგადოებას გაუჩინეთ შეკლებისადა გვარათ განსვენებული საყვარელი ბელეტრისტის ცხოვრება. საზოგადოებას სავსად დაესწრო. ბიოგრაფიული რამ ცნობების შიგნს ძნელი იყო. აქვე შეკრბეთ ცოტა ფული და გადაუკეთო ბიბლიოთეკის გამგეს, რომ ნინოშვილის თხზულებათა სრული კრებული შეიძინოს. ასლთ მომავალში აქ გაიმართება საღამო განსვენებულის სასულე.

ზანაშვიდი გადაუხდათ აგრეთვე განსვენებულის სამომხლო სოფელში გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსის ალექსანდრეს თანდასწრებით.

შირველ ამ თვისთვის დანიშნული ქართულ დრამატულ საზოგადოების კრება არ შესდგა წევრთა სავსად რიცხვას დაუსწრებლობის გამო. კრება გადაიდგა რვა ამ თვისათვის.

სიღნაღის მხარაში მდებარე სათვის ადგილის დასამუშავებლათ თბილისში არსდება ასალი საზოგადოება „ჩატმა“. საზოგადოებას წესდება უკვე შეუქმნა. თითო ზაი ელირება სია მხეთი.

„პეტრობ. კვლამ.“-ს მაისის №140-ში დაბეჭდილია ბ. ს. დურნოვოს საყურადღებო წერილი სათაურით: „ქართულთა ერის დასაცველათ“. როგორც სხანს ავტორს დაასლოკებით აქვს განცხობილი ადგილობრივი ამბები.

ს. სიქთარუაში, შორაშნის მხარაში, როგორც გვწერენ, გახენიდა კალია. 2000 მუშა ებრძვის ამ მუშას, მაგრამ დღემდის კერა გაუწევათ რა. რადგანაც ადგილი ტეიანი ყოფილა, გაჩუზრასხვთ გადასწავს თვით ტუე.

ქართულთა შორ. წერ. კით. გამაგრელებელ საზოგადოების კრება, რომელიც დანიშნული იყო სამ იუნისისათვის, გადაიდგა მომავალ სექტემბრისთვის.

საქართველოს რუსეთთან შეერთების ხის წლის ხანისათ თბილისში არსდება „გაგასიის ბეჭდვითი საქმის მოღვაწეთა დამხმარებელი საზოგადოება“. საზოგადოების კრება დანიშნულია 3 იუნისს, საღამოს 8 საათზე. უუზნად „გაგა. კესტ.“ რედაქციაში.

გაგასიის სამონწველო ოლქის მხრუხეულთ, ნაცვლათ ე. იანოვსკისა, რომელიც გადაუხანდა იქმნა სახელმწიფო საბჭოს წევრათ, დაინიშნა ამჯე ოლქის ინსპექტორი მ. ზაჯადსვი.

17 იუნისს ხადგურ გომში დანიშნულია საგანგებო კრება გორის შემამუღეთა ხინდიკატისა. კრებაზე განისილაკენ რა წყაროებიდამ შეიძლება ხინდიკატის თანხის გაძლიერება.



მიწად მოქმედების მინისტრმა ნება დართო, რომ კავასიაში მქვენსეთა და მელენეთა გრუბა მოსდეს.

რადგანაც ზოგიერთი სამრეწველო-საეკლესიო სკოლები არა მართმადიდებელ სარწმუნოების მოწოდებით გასილან, ამიტომ გადაწყვეტილია ამოიღოს ამ სკოლებში მიიღონ უმთავრესათ მართ-მადიდებელი სარწმუნოების პირების შვილები. არა მართ-მადიდებლებს თუ დაეთმობათ ადგილი, უნდა გამოერთვათ სწავლის იგივე წელიწადში 2 მ-დან 10 მანეთამდე. რუსის სექტანტები და საზოგადოთ არა მართ-მადიდებელნი მიიღებან უმთავრესათ იმ სკოლებში, რომელთაც მისიონერული ხისიათი აქვს.

გასულ იანუარის შიშველისათვის, როგორც აღნუსხა უკვე ქადაქის ვამეკობამ, თბილისსა ჭქონია ვალი 1.250.000 მან.

24 მაისს ქუთაისის მომრიგებელ-მოსამართლემ გააჩნია საქმე იმ შირთა, რომელთაც ბრალდებულად არეულობის მოსდენა 16-პრიფს დრამა „კონდრახანდისტების“ წარმოდგენის გამო. მოვიყვანთ აქ ზოგიერთ საყურადღებო ადგილებს ბრალდებულთა და მოწმეთა ჩვენებებში. სტ. ჩხეიძემ, გერსელიძემ, გობეჩიამ, ჩიქოვანამ, მუხარბიამ, კახუნიძემ, ანბიძემ და ლომთათიძემ, მოსამართლის ვითსკაც სთულის ისინი თავს დამნაშავეთ თუა არა, განაცხადეს, რომ მათ არ შეეძლოთ გულდამიშობებოთ მოკმინათ ისეთი უსერიო პიესა და თან ყველგვარ სელოვნებას მოკლებული, როგორც არის დრამა „კონდრახანდისტების“, რომელშიაც სრულიათ უსაფუძვლოთ მიწასთან არის გასწორებული ისედაც დაბეჭდული ებრაელების კრი. ხისინს, კერცხის სრულას, სმაურობას და სხვა ზომებს ისინი სთულის განხიფად პროტესტის გამოხატვად, რადგან თუკი ერთ ნაწილს საზოგადოებისს ნება აქვს გამოაცხადოს თავისი გამაფიქვანება ტანის ტემით, რატომ სხვებსაც არ უნდა ჭქონდეთ ნება თავის უკმაყოფილება გამოაცხადონ შემოსწინებულ საშუალებით. სტუდენტმა კახუნიძემ გარდა ამისა განაცხადა, რომ ის არამც თუ მარტო პიესის ამითანა ტენდენციამ ადგელა, არამედ ის მოთმინებდამ გამოიყვანა აგრეთვე პოლიციებისტრის მოქმედებამაც. პოლიციებისტრმა, სთქვა კახუნიძემ, დაიწინა პარტურადან: «ВЪЯТЪ ЕГО!» — («გათარიეთ ის») და მიუთითა ჩემზე, მე ამასე ვუპასუხე: „თუ ბ. პოლიციებისტრის ქსურს ჩემი გაყვანა თატრადან, ვთხოვ თავთ მობრძინდეს და ან ბოჭყული გამოგზავნოს. თქვენ როგორც წესიერების და სიმშვიდის დამცველი, მის მაგიერ რომ მაგალითს უჩვენებდეთ სხვას, თვით არღვეთ წესიერების-მეთქი“. ესეთივე სმები ისმოდა პარტურის სხვა-და-სხვა მხრიდანაც როგორც უჩვენა მოწამე ქ. ნასაროვისამ და ინენერმ მ. პავლოვსკიმ. მოწამე ბოჭყულ ქადეიშვილმა, მოსამართლის კითხვას, თუ არაფერი არ იცოდა მან, მას რათ შეადგინა ოქმი, განაცხადა, რომ ოქმი მან პოლიციებისტრის ბრძინებით შეადგინა. დანარჩენი მოწმების ჩვენებაც თითქმის ამგვარივე იყო. მოწმების ჩვენების შემდეგ სიტუაც წარმოსთქვას ნათქვამი ვეჭვილმა ვაფარიძემ, ნათქვამი ვეჭვილის თანამემძლე თემანიშვილმა და სტ. კახუნიძემ. ყველამ თავის სიტუაცში ის აზრი გაატარეს, რომ პიესას შეეძლო გამოეწვიას ამ ვარი პროტესტი და ბრალდებულთ უფლება ჭქონდათ ამისა, რადგან დრამა „კონდრახანდისტების“ თავის შინაარსით ვერ დაეკმაყოფილებდა მხმენელთ მით უმეტეს, თუ მსჯელობაში მივიღებთ მხსნიობთა უსერიო თამაშობასაც.

სახამართლოს განხიხი უკვე გაქმნდა მოსხენებული. 29 მაისს გრუბა ჭქონდათ თბილისის სასალსო კითხვათა და წარმოდგენათ: კომისიის წევრთ. გრუბას მოსხენდა ანკა-

რიში ქართული, ხომსური და რუსულ სექციებისა. როგორც ანკარშიდამ ხსნის, ქართულ სექციას წარსული სეზონში გაუმართავს სულ 28 წარმოდგენა და კონცერტი. მათ შორის უფრო საყურადღებოა შემდეგი პიესები: „პარიზული ლატაკი“, „ორი ობოლი“, „ციმბირული“, „რაც ვინახავს ევლარ ნასავი“, „იუული და სარისხი“, „პარიზული ბილი“ და „კავასები“. ა. იუული-ცულაძისა. წარმოდგენებს და კონცერტებს დასწრების სულ 7470 კაცი და ქალი თითო წარმოდგენასე მოდის 266 სული. შემოსავალი ყოფილა 522 მ. 40 კ. დასარჯულა 642 მ. 78 კ. ასე რომ დებიციტი ყოფილა 120 მ. 38 კ. დებიციტი დავარულია ვ. ნ. ე. ქობულაძის და ქართ. დრ. საზოგადოების მიერ. მომავალ სეზონში ქართული სექციის წევრებთ არჩეულ იქმნენ ქ. მ. ი. დემურასი და თ. ქუჩუაშვილი, ბბ. ბარათაშვილი, ბესელიძე, გოციანიძე, თუშმელაშვილი, მ. რცხილაძე და ნ. ქართულიშვილი.

გამოვიდა საემსწვილო ყურნალი „ვეჯილი“ № 5 და დაურიგდათ სელის-მომწერებს.

ჩვენ მივიღეთ შემდეგი წიგნები 1) „ეტიუდები“ თეოდ. სუსკევიძისა, გამოცემა 3. არდიშვილისა. ამ წიგნში მოთავსებულია 8 ეტიუდი და ღირს სამი შაური.

2) „ჩემი აზრი და ფიქრები“ სილოვანისა; ამასი ყველაფერი — ლექსი, კრიტიკა, პუბლიცისტიკა, ერთი სიტყვით „ყოველნაირი“ ფიქრი ბ. სილოვანისა. ღირს ანაზი.

3) „ერთი წამი უბედურებადის“ ვოდკეილი 1 მოქ. 3. ბალახიკაძისა. ფასი 3 კაპ.

4) „კერობის მუბრეშუმეობა“ ს. ქარაიანისა. გამოცემა 2. თავართქილაძეებისა. ფასი ორი შაური.

5) „მოგზაურობა წმ. ქალაქსა იერუსალიმსა და წმ. ათონის მთასე“ დევანოზი პეტრე დავითის მის კონსტაშილისა. წიგნი დიდია და შეიცავს პოლესტიმის წმიდა ადგილების აღწერილობას სარწმუნოებრივი შესვდულობით. ფასი 1 მან.

კორესპონდენციები.

სოფ. მიხაელ-ვაბრილი (გურია) - ბუნებრივი სიმდიდრით მიქელ-გაბრიელი თითქმის ყველა დანარჩენ გურიის სოფლებზე წინ დგანა. მაგრამ მიუსვდავთ ამისა ის ეკონომიურათ ბევრ სოფლებზე უკან ჩამორჩენილია. ჩვენ გვკონია, რომ თვით ეს ბუნებრივი სიმდიდრე იყოს ერთი მიზნითაგანი მისი უკან ჩამორჩენისა. სახსაკ-სათესი მიწების სიმრავლის და მათი საუცხოლო სინოეიერის გამო აქ გლესს კიდევ არ დაჭკავია იმედი, რომ მამა-პაპური სელობით — მიწის ჩიქნით დაიჩინოს თავს და «არ გამოეცულება მტერ-მოყვარეს», როგორც ამას ისინი იტყვიან სოლმე. ამიტომაც არის რომ ამ სოფლის მკვიდრნი ნაკლებათ ეტანებიან ქალაქებს და ქალაქურ ცხოვრებას, თემცა მიქელ-გაბრიელი სსკვებზე უფრო დანახლოვებულია ქალაქებზე. მეორე მიზეზი სერიანია გზის უჭონლობა. ამ სოფელში სამი დიდი გზა გადის. ერთი მიდის ქ. ოსურგეთში, მეორე სადგურ ნატანებში და მესამეც სად. სუფსაში. მანა ვერც ერთი მათგანი ვერ არის სასურველათ შეკეთებული. აქური გზები ნიაღვარით არის აღსრულებული; სმირათ შესვდობით სოლმე შუაგულ შარა-გზასე კარგ მოზრდილ რუებს. სამთარში სომ აქ საირულს ვოჯოხსეთში საირული სჯობს. დროა, ამას ყურადღება მიექციოს ადგილობრივმა მთავრობამ და შეიგნოს თვით მცხოვრებლებმა, რომ ერთი კარგი გზა ასჯერ და ათასჯერ გააუმჯობესებს მათ მდგომარეობას!.



მართალია თუ აქამდე ოცი ან ოცდაათი მოწაფე იყო სკოლაში, დღეს ტყვე ან აქვთ მათ სკოლის დარბაზში, თუ აქამომდე ინტელიგენტთა რიცხვი ცოტა იყო ესლა სამაგიეროთ გაცილებით მეტია; მარა ეს გაია, რომ მათ არავითარი გავლენა არ აქვთ მცხოვრებლებზე. სხვას რომ თავი დავანებოთ და მართლ სწავლა-განათლების საქმე ავიღოთ, სწორეთ სასარგლო სურათი წარმოგადგება თვალწინ. აქ არსებობს ორ-გლასიანი სამინისტრო სკოლა, ერთ-გლასიანი სამკვლელო და წიგნთ-საცავ-სამკითხველო, — აი ეს სამი საზოგადო დაწესებულება (შემნასველ-გამსესხებელი ბანკის დაარსებამ უნდა დაეხმოს) და თუ არ ვცდებით, მგონია, ვიდრე «გვასარკის» «ივერიაში», ვარსებობდა, თუმცა მერე ბევრი დრო გავიდა და დღეს მისი ჭკანებაც არ არის), რომელთა მდგომარეობაც ძლიერ სამწუხაროა. სკოლაში სწავლის საქმე ვერ არის გარკვეული მოწყობილი, და ამიტომ ბავშვებიც ვერ არიან გარკვეულ მომზადებულნი, წიგნთ-საცავ-სამკითხველო სკოლს დაეხმოს და თუ ვინმე გულ-შემატვიკვარი დროსად არ მიეშველება, მგონია მთლათ «დაუკრას» თავი მიქელ-გაბრიალებებს. ნამდვილი გულ-შემატვიკვარი და ენერგიული მოღვაწის სკოლაში ეს დაწესებულებები დიდ საჩუქრებს მართლმანდა ხალხს, მაგრამ დღეს საჩუქრებს ვიღას ჩავის, — ხალხს თუ გული არ აუცრუვდა მათზე. ისიც გარკვეა! დიდი ხანი არ გასულა მას აქვთ (გასული წლის იანვარში იყო), რაც სამკითხველო გველიჩხა. დანს, მას შემდეგ დიდი ხანი არ გასულა, მარა დღეს მანინც მოხერხდათ და აღარ იტყვიან წინანდებურათ უურადლებას. დღეს, იგივე ინტელიგენტია, რომელიც შარშან სმა მადლა გაჭვიოდა: «მოდით, შეუდგეთ სოფლის საქმეს», სადათას ძილს მისცემია და საზოგადო საქმეები უკან ჩამოუყენებიათ. ეს მით უფრო სამწუხაროა, რომ ამ ბოლო დროს ინტელიგენტების უნერგიობას და მათ არაკობას, მათ ფუჭს და უშინაწრო ცხოვრებას ბევრ სხვა სოფლებშიც ვხვდებით. წახაძეობით, თუ თავისი ინტენსივობით ბევრი საზოგადო საქმეები იწყება სოფლებში ადგილობრივი ინტელიგენტების მიერ, მაგრამ სასურველ მართლებას ვერც ერთი ვერ ღებულობს და თითქმის უნაყოფოთ რჩება შემდეგში. ამ ბოლო დროს მეტადვე წიგნთ-საცავ-სამკითხველო და ბანკების დაარსებას მოუხშირეს სოფლებში, მარა მათი გონიერებით მოწყობა და წინ წაუვანა ძალიან იშვიათი მოვლენაა. ასეა აქაც.

ბიბლოთეკა-სამკითხველო სშირათ არის სოფელ დაკვიტილი; თუ ღია დავხვდებით და შედით შიგ, ნახვით სტოლზე ერთი თვის გაზეთებს. სხვა არაფერი არ არის. ერთი ღამეც ვერ უშოვიათ სახალხო სამკითხველოსათვის. ამიტომ თვე გავს ისე რომ ერთ მკითხველსაც ვერ დაინახავთ შიგ. ხვდავთ ხალხს: გაიარს სამკითხველოს წინ, ერთს შეიტკრეტს და მადის მისთვინ! მას არავინ ჭყავს, რომ აუხსნას ყურნალ-გაზეთების მნიშვნელობა, წახალისოს და აღუძრას სურვილი წიგნების კითხვისადმი. არა, აქაურ განმანათლებელთ ის აინუნშიაც არ მოსდით. შევა ვინმე სამკითხველოში თუ არ შევა, ეს მათთვის სულ ერთია, ამით დიდათ არ არიან დაინტერესებულნი. სშირათ გამიგონია აქაურებისაგან, რომ გაყურვდით ამ სოფელში, ვერ შეხვდებით ისეთ კაცს, რომელთანაც შეგებდნენ მსჯელობა იქონიო და გონება ამუშავო. ნეტა გონების ამუშავება არ იქნება ის, რომ გასწინადნ სკვებო სკოლას და მაიწვევდენ ხალხს, სშირათ გამართავდენ წარმოდგენებს და სალიტერატურო საღამოებს, აუხსნიდენ და ჩაატონებდენ სოფელთ, რომ მათთვის დღეს სავსეო სკოლებს გარდა საჭიროა ერთი საქალებო სკოლაც? მაშინ აღარ იქნება

ის «მოწეწილობა», რომელიც მათ ახლა უსაქმობის გამო სჩვევიათ. გონებაც გარკვეათ ამუშავება და ამებს შემდეგში სხვა ბევრი რამეებიც მოყვება სოფელში. ეგებ თქვან: არა, ხალხს არ უნდა, ის ეწინააღმდეგება ამებსო, — ტყუილია. შირიქით, თუ ვინმე ითავებს რამე სასარგებლო საქმეს, მხარს დაუჭერენ, ხალხი ყველა სასარგებლო საქმეს სისარგლოთ მიეგებება. ამის მაგალითი შარშან დავინახეთ, როდესაც უბრალო წარმოდგენაზე აუბებელი ხალხი დაესწრო და მის სიამოვნებას საზღვარი არ ჰქონდა.

მიქელ-გაბრიელელი.

ს. ლინაური (ოზურგეთის მაზრა). ღისაური მდებარეობს ოზურგეთიდან ხუთი ვერსის მანძილზე. აქ არსებობს ორ-გლასიანი სამინისტრო სკოლა, მხოლოდ სასოფლო ბანკს, ბიბლიოთეკას, წარმოდგენებს და სხვა ამისთანებს მოკლებული ვართ. თუ სიმა მუხობულ სოფლებს, მაგალითათ: ბასვს, ასვანს, შემოქიქს, დავბუხს და სხვებს, ბანკიც აქვთ, ბიბლიოთეკაც, წარმოდგენებსაც მართავენ, მეურნეობასაც ასწავლიან შეიკრდებს და სს., ლესაუკმა რაღა დააშავა? მცხოვრებთა რიცხვი ამ სოფლებთან შედარებით მეტი თუ იქნება, თორემ ნაკლები მანინც არა. მატრიალური შემდეგაც საკმარისია, ხალხიც ძლიერ თანაუგრძობს ასეთ დაწესებულებას, მაგრამ სამწუხაროთ აქ არ მოაშოვება ისეთი კაცი, რომ შეუდგეს ამ ნაირ საქმეს და საზოგადოებას წინ წაუძღვეს.

აქ ბეუტავს ორი მასწავლებელი, რომლებსაც, გარდა თავის გაკვეთილებისა, არაფერზე შესტვიკვით გული. აქ გვევს სასწავლებლის ორი მზრუნველი, მაგრამ სამწუხაროთ ვერაფერ ჭიჩისუფლობას უწვევენ ვერც სკოლას და ვერც სოფელს, თუმცა მათ დროც აქვთ საკმაო, შემდეგაც და სწავლაც. ასეთ უკაცობაში თითოთ საჩვენებელი შეიქნა მისიელ სალოქამე, რომელმაც, თუმცა ქართული სკოლის მოწეწა ძლიერ იცის, მაგრამ ათასსუთასი მანეთი თავისი ფული საზოგადო საქმეს მოასხარა, რაიცა იშვიათს მაგალითია ჩვენში. ამ პატივცემულმა კაცმა გააკეთა მდინარე აქის წყალზე ბოგა, შამოავლო გლავანი აქის ეკლესიას და აგრეთვე დასურა. ერთს უკანონო შობილ ბავშვს ზრდის თავის საჭვით (ეს საჭვა სოფელს უნდა გადასდოდა), ეს ეწვეა სკოლას, ღარბ მოწაფეებს და სხვას. ღმერთს ექნას, რომ ვიდრე გამოხნებდეს ამფერი კაცი სოფ. ლესაუკს და მიებაძოს ასეთი მაგალითისათვის.

მ. რ.

წერილი ბათომიდან.

28 მაისს მოხდა ბათომის საბჭოს საყუარდებო სხდომა. აი მისი ანგარიში. თუ გახსოვთ, ერთს ჩემს კორესპონდენტიაში მე უკვე გაგაცანიით ელექტრონის ქუჩის ამბავი. ამ ქუჩაზე ორმა სომეხმა სახლი ააგო, ააგო, მაგრამ ისე, რომ სახლების ნაწილი ქუჩაზე დარჩა და ამგვარათ სახლებს ქუჩის ნაწილი ქვეშ მოემწყვდა. ამას საჩივარი მოჰყვა როგორც ამ ქუჩაზე მცხოვრებთაგან, ისე გამგეობისგანაც, მაგრამ გამგეობამ საჩივარი მალე დაანება თავი, მცხოვრებლებმა კი არა, სამა ინსტანციამ — მომრიგებელმა სასამართლომ, ოლქის სასამართლომ და პალატამ ერთადერთი მსჯავერი დაადგინეს: აიყაროს სახლები და ქუჩა განთავისუფლდეს. საბჭომ ერთ წინანდელ თავის სხდომაზე დაადგინა, რომ ელექტრონის ქუჩა შეეკეთდეს, ე. ი. სახლები დარჩეს თავის ალაგას და დანარჩენი ქუჩის ადგილი შესწორდეს. საქალაქო საქმეთა საკრებულოს არ დაუმტკიცებია ეს და-



დგენილება საბჭოსი შემდეგი მოსაზრების გამო: ელექტრონის ქუჩის შეკეთების შესახებ საბჭოს ორ დადგენილებას შორის წინააღმდეგობა სუფევს. საბჭოს მიერ პირველ დამტკიცებულ პლანში ის ქუჩა შეიცავს სიგანით 10 საყენს, უკანასკნელ პლანში კი მისი განი 5 საყენია. ამას გარდა, საბჭოს განაჩენი — შეკეთდეს ელექტრონის ქუჩა — დამტკიცებს სახლების პატრონების შებრალებას, რასაც ადგილი არ უნდა ჰქონდეს ქალაქის საქმეთა ინტერესების დაცვაში, თუ კი ნათლათ ჩანს, რომ უსამართლობაა ჩადენილი და ამ უსამართლობით ქალაქის მცხოვრებლებს ზარალი მოუდისთ. საბჭოს დადგენილება წინააღმდეგება აგრეთვე სამი ინსტანციის დადგენილებასო. საბჭომ მიიღო ეს აზრი საკრებულოსი.

მოგეხსენებათ, რომ ბათუმის საბჭომ კვირა-უქმედებებში მალაზიების დაკეტვის და მით ნოქრების შესვენების შესახებ ორი დადგენილება მოახდინა. ისიც მოგეხსენებათ, რომ პირველი დადგენილება არ მოეწონათ ვაჭრებს და საბჭოს თხოვნა მიართვეს, რომელშიაც თავის უღრმეს სიმპატიას და სიყვარულს უცხადებდნენ თავის ნოქრებს და დამამტკიცებელ საბუთათ ამ სიყვარულისა სწორდნენ თხოვნაში, რომ მეტი შესვენება აენებს ჩვენს ძმებს და ნუ დაგვილუპავთ იმ კაცებს, ნუ შეასვენებთო. საბჭომ მიიღო რა მხედველობაში, რომ წინააღმდეგობა მართლა საზარალო იქნება ვაჭრობისათვის, შეცვალა ის და ვაჭრებისთვის უფრო სასარგებლო დადგენილება მოახდინა. აი, ეს უკანასკნელი დადგენილება არ დაუმტკიცებია საქალაქო საქმეთა საკრებულოს იმ მიზეზით, რომ ყოველთვის დადგენილების ცვლა ვერ არის სასურველი და ამას გარდა მალაზიების დაკეტვის დრო არ არის კანონიერათ: საათებით ნაჩვენებია. მაშ ძალაში უნდა დარჩეს პირველი დადგენილება. საბჭომ გადასწყვიტა, განააჩივროს სენატში საკრებულოს მიერ უკანასკნელი დადგენილების დაუმტკიცებლობა.

არ დაუმტკიცებია აგრეთვე საკრებულოს საბჭოს მიერ გაკიცხვის გამოცხადება ბ-ნ პალმისადმი. ამის საბუთათ საკრებულოს შემდეგი მოჰყავს: საბჭოს არა აქვს უფლება გაკიცხოს ხმოსანი იმ მოქმედებისათვის, რომელიც მას საბჭოს გარეშე ჩატუნიაო. ხმოსანი ბ-ნი კარლო ჩხეიძე ამბობს, რომ ჩვენ უკვე გამოვაცხადეთ ეს გაკიცხვა, ის თვითელი ჩვენგანის, — ვინც კი ამ გაკიცხვას ხმა მისცა, — ღრმა რწმენა იყო და მე არ მესმის — როგორ უნდა უარიყოს ეს გაკიცხვა! აქ დამტკიცება-დაუმტკიცებლობა სულ ერთია. რადგან ეს კითხვა პრინციპიალურია, ამიტომ მე წინადადებას ვაძლევ საბჭოს განააჩივროს ეს დაუმტკიცებლობაო. გამგეობის წევრი ბ-ნი გრ. ვოლსკი ამბობს, რომ გამგეობაც სწორეთ ამავე აზრისა არისო. საბჭოს აქვს უფლება, რომ თავის წევრის ცუდ საქციელს, თუ ეს საქციელი საბჭოს შეეხება, — გაკიცხვა გამოუტყდალოსო. მოისმის ხმები გრილსკისაგან და პოდლოლეცკისაგან: საბუთები ამ თქვენი აზრისა რა არისო. ბ-ნი ვოლსკი ასახელებს საბუთებს: ერთი ის, რომ კანონში არ არის ნათქვამი — აქვს ეს უფლება (გაკიცხვა) საბჭოს თუ არა, მაშ ეს არ არის კანონით აღკრძალული. მეორე — რატომ არ უნდა გექონდეს გაკიცხვის უფლება, თუ მოწონებისა და მადლობის გამოცხადების ნება კი გვაქვს. მესამე — ბ-ნი პალმის მოქმედება (მისი წერილები მის გაზეთში) სრულიათ უფაქტოთ რალაც არ-ყოფილ რამეებს გვახევედა თავზე, გვლანძღავდა და თუ კი მას ამის ნება აქვს, ჩვენ რათ არ უნდა გექონდეს იმის უფლება,

ვუთხრათ ბ-ნ პალმს, რომ ის ტყუოდა, ის ცილს გეწამებდა, ე. ი. ის ჩვენგან გაკიცხვის ღირსია. ბ-ნ კ. ჩხეიძის წინადადებას ეყარა კენჭი და 18 ხმით წინააღმდეგ 10-სა გადასწყვიტეს განააჩივროს. აქვე უნდა აღვნიშნო, რომ ამ სხდომაზე «დაუმტკიცებელი გაკიცხვის» გმირი ბ-ნი პალმიც ბრძანდებოდა. დღიდან მისი გაკიცხვისა ის ამ სხდომაზე არ გამოჩენილა მის მიერ ყბად აღებულ ბათუმის საბჭოში. ამ სხდომაზე კი ის დიდის რიხით იჯდა საბჭოს დარბაზში, გარემოცული თავის თანამგრძობლებით, რომლებიც კენჭის ყრის დროს ხელების ქნევით და გაკვირვებულის სახით უმტკიცებდნენ «რალაცას» თავის მეგობარს. ისიც გულ-მოდგინეთ უსმენდა მათ და თავს აქნევდა, ნიშნათ თანხმობისა.

გადავღვარ ბ-ნ ივანოვის, ამ «წმინდა ინტელიგენტის» მიერ (როგორც მას პალმი უწოდებს) ბალსა და ბულვარის საქმეში უთავბოლობისა და უწესრიგობის ჩადენის საქმეზე. მოგეხსენებათ, რომ ბათუმის საბჭომ ხმოსანთა შორის აირჩია კომისია ბალისა და ბულვარის სარევიზიოთ. ისიც მოგეხსენებათ, რომ კომისიამ დიდი უწესოება აღმოაჩინა იქ და ამ უწესოების აღმოჩენით აღმოაჩინა უთავბოლობა ბალისა და ბულვარის ზედამხედველის ბ-ნ ივანოვისა. ამის შესახებ კომისიამ მოხსენება წარუდგინა საბჭოს. აი, ეს მოხსენება გახდა მიზეზათ ბ-ნ პალმის და კომპანიის ვითომდა საბუთებათ, რომ მოხსენება წინააღმდეგ განზრახული აზრით არის შემდგარი, რომ ის წაეკითხათ ივანოვის არჩევის წინ, რომ ამით ეფექტი მოეხდინათ და ივანოვი გაეშავებინათო. საბჭომ გადაწყვიტა დაებეჭდათ ამ საქმის შესახებ ყოველივე, რომ უფრო კარგათ შესძლებოდათ ხმოსნებს ამ საქმის აწონ-დაწონვა. ამ საქმისთვის საბოლოო მსჯავრი უნდა დაედო საბჭოს ამ სხდომაზე. დაბეჭდილ საქმეებში ივანოვის პასუხიც არის. ეს პასუხი იგივეა, რასაც «ჩერნ. ვესტნ.»-ი წამდაუწუმ გაიძახოდა: განგებ შეადგინეს, ცილი დასწამეს, ეფექტი მოახდინესო და სხ. ამ პასუხის წაკითხვით ეჭვი შეგეპარებათ: ეს პასუხი იმდენათ გავს პალმის გაზეთის სახელოვან წერილებს, რომ ის წერილები ან ივანოვს ეკუთვნის და ან ივანოვის პასუხი ბ-ნს პალმს. ამ სხდომაზე თავმჯდომარეობდა ბ-ნი ივანოვი. როცა მან წამოაყენა ბულვარისა და ბალის რევიზიის შესახებ დანიშნული კითხვა, მოახსენეს, რომ რადგან ამ კითხვაში მისი საქმეების შესახებ ექნებათ ლაპარაკი, ამიტომ მისი თავმჯდომარეობა მოუხერხებელი იქნებაო. ამის შემდეგ ბ-ნმა ივანოვმა სთხოვა ბ-ნ მ. ნაკაშიძეს ეთავმჯდომარეებია (ბ-ნი ნაკაშიძე არჩეულია საბჭოს მიერ განსაკუთრებულ საქმეების გარჩევის დროს თავმჯდომარეთ). მ. ნაკაშიძემ დაიჭირა თავმჯდომარის ადილი. ბ-მა კ. ჩხეიძემ საკმაოთ გრძელ სიტყვაში ბ-ნ ივანოვის პასუხის ყველა პუნქტები დაარღვია. დგება ბ-ნი გრილსკი. ბ-ნ ივანოვის მოქმედებაში, მე ვერაფერ არ ბოროტ მოქმედებას ვერ ვხედავ — სთქვა მან, — შეიძლება იყო პატარა უმნიშვნელო შეცდომები, რომლის აღნიშვნა და გამოკიდება არც-კი ღირსო, მე ერთი მაკვირვებს, რათ იკისრა ბ-ნმა ივანოვმა ბალის ზედამხედველობა, ეს მას არ უნდა ეკისრაო. საბჭოს სეპრეტარი ბ-ნი ი. მესხი უპასუხებს ბ-ნ გრილსკის გაკვირვებას, რომ გამგეობის წევრებს შორის საქმის განაწილებამ ბ-ნ ივანოვს სხვათა შორის ეს მოვალეობაც არგოო. გრილსკის შემდეგ დგება მეორე დამცველი ბ-ნ ივანოვი! ა ბ-ნი პალმი, რომელიც ამით შეეცადა ივანოვის დაცვას. ნ. ჯაველი: აქ თქვეს, რომ 180 მანეთისა, 16 მან. და ამ გვა-

რების დაკარგვა, არ ღირს სალაპარაკოთ, ეს წერილმანიაო. ძალიან კარგი, ეთქვათ, რომ ეს ფულები არც ივანოვს მიუთვისებია, არც მებალეს, მარა ეს ფულები რო დაეკარგა ქალაქს—ეს-კი ცხადია. ჩვენ არ გვაქვს უფლება ეთქვათ, რომ 180 მან. პატარა ფულია, და მის შეახებ ლაპარაკი მეთიაო. ამის თქმა მაშინ შეეძლიათ, რომ ის ფულები თქვენი საკუთრება იყოს. ის ფულები ქალაქისა და ჩვენი მოვალეობა არა თუ 180 მან. დაპყროველს ანგარიში მოეთხოვოთ, არამედ 5 კაპ. გაფლანგვაც არ უნდა შეეპოროთ ვისმეს. აქ ისიც თქვენ, რომ როგორ შეეძლო ივანოვს დამოუკიდებლად ემოქმედნაო. ამის ფაქტები ბევრია ქალაქის საქმეებში, არის ფაქტები და თქვენი კარგათ იცით, რომ ბ. ივანოვი თავის ნებით გაურიგდებოდა ვინმეს, გამოიწერდა რამეს და ჩვენ ამას მაშინ გავიგებდით, როცა საქონელი კარზე მოგვადგებოდა. ეს წერილმანია, ამბობთ, არა, ეს მსხვილმანია და ამას ყურადღება უნდა მიექცეს.

ბ-ნი კარლო ჩხეიძე თხოულობს, რომ რადგან ეს საქმე ბევრს ისეთ რამეს შეიცავს, რომლის გამო რკივეა ჩვენ არ შეეძლია, ამიტომ გადავსცეთ ეს საქმე სასამართლოს და, დეე, სასამართლომ გააგვიბოს დამნაშავეს, რომ ის ტყუილი იკატუნებს თავს, თვარა ის არის დამნაშავე და ეფექტები აქ არაფერს შუაშიაო. ზოგერთები თხოულობდნენ—ამ საქმის გადაწყვეტა თითონ გუბერნატორს მიეანდოთო. ეყარა კენჭი შემდეგ კითხვებს: აღძრან ამის შეახებ კიდევ საქმე თუ არა. 21 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 9 ხმით, გადაწყვიტეს ამ საქმის მოსპობა.

X.

რუსეთის ცხოვრება.

სამწითომქმედო სამინისტრო მომავალ სასწავლო წლიდან გახსნის რამდენსამე დაბალ სამთა-მანო ტექნიკურ სკოლას, სადაც განსაკუთრებით ისწავლან მთა-მანის მუშათა შვილები.

ბაქოში განზრახულ სამთო სასწავლებელში იქნება ორი ძირითადი განყოფილება: სამთო და საქარსნო. სწავლის დრო ოთხი წელიწადია. სასწავლებელს იხსნავს თავის ხარჯზე საზინა, ხოლო ნავთის მწარმოებლები აძლევენ ყოველ წლებში 10.000 მან. სუბსიდიას.

გზათა სამინისტრომ გადასწყვიტა გადააკეთოს რკინის გზის სასწავლებლები იმ მიზნით, რომ ამ სასწავლებლებში მომზადდნენ სსვა-და-სსვა გვარი რკინის გზის მასშინსურენი.

სამთო დეპარტამენტთან შემდგარმა განსაკუთრებულმა კომისიამ განიხილა ბაქოს ნავთის მწარმოებლების და სხვა მხრეთ რუსეთის მექარსნეების მიერ შედგენილი მთა-მანის მუშების დასასვლელი პროექტი და ერთხმად დადგინა, რომ დასასვლელი კასში მონაწილეობის მიღება სავალდებულო როგორც მწარმოებელთათვის, აგრეთვე მუშებისათვისაცა. ასლ პროექტები წარედგინება განსახილველათ სახელმწიფო საბჭოს.

გროდნოს გუბერნატორი თავის ცირკულარში სწერს შემდეგს: ჩემს ხელშია ისეთი ცნობები, რომელნიც მეუბნებიან, რომ პოლიციის მოხელენი, 1) როცა მათ სსვა-და-სსვა შირები მიმართვენ რამე საქმისათვის, კითხვებზე სშირათ იძლევიან უსრდედ და უსკმ პასუხს და 2) სშირათ კერძო შირებს ისეთ მოთხოვნილებას წარუდგენენ, რომელიც ეწინააღმდეგება განონს, რის გამო ასეთი მოთხოვნილება სისრულეში არ მოქვავთ და პოლიციის მოხელეთ არამც თუ შირადათ შეელაპარაკებიან, კიდევ შეურაცხყოფენ. რადგანაც ასეთი

მოკლენა შეტათ მკენა და ეწინააღმდეგება როგორც სამსახურის ინტერესებს, აგრეთვე მცხოვრებთა სარგებლობას და რადგანაც სალსი ვი არ აწსებობს პოლიციისთვის, არამედ პოლიციას სალსისთვის, ამიტომ პოლიციისტრებს და ბოქვლებს ვუბრძანებ, რომ მათდამი რწმუნებულ მოხელეთ უხსნან შემდეგი: 1) როცა მათ მიმართვენ კერძო შირები, ისინი ვალდებულნი არიან ურადლებით მოუხმონ თვითუფს და პასუხი მისცენ სრდილობასი კალოთი, სმის აუძალდებლათ და მით უმეტეს შეურაცხყოფელ სიტყვების უხმარებლათ; 2) პოლიციის მოხელეთ შეუძლიათ მცხოვრებლებს წარუდგინონ ისეთი მოთხოვნილებანი, რომელნიც უსაფუძვლონი ვი არ არიან, არამედ გამოდინარობენ მთავრობის მიერ გამოცემულ განონებსა და განკარგულებათგან და რავი ასეთი განონიერი მოთხოვნილება წარედგინა, ადევონ თვალ-ყური, რომ ის უსათუოთ სისრულეში იქმნას მოუქნილი. თუ ვი ეს თუ ის შირი არ შეასრულეს განონიერ მოთხოვნილებას, იმ შემთხვევაში ის უნდა მისცეთ სისლას სამართალში განონის დარღვევისთვის, რადგანაც კერძო შირების მიერ დარღვევა სავალდებულო წესებისა, როგორცა, ეთქვათ, სანიტარული წესები და სს., მკენე იქნება მთელი ადგილობრივი მცხოვრებისათვის. ბოლს დავძენ, რომ ის პოლიციის მოხელენი, რომელნიც არ ასრულებენ ამ ცირკულარში მოსხენებულ განკარგულებათ, სასტიკათ იქნებიან დასჯილნი.

უძალესათ ნაბძანება, რომ უილიარის ოლქის მევენახეობის და მეღვინეობის განსაძიერებლათ საზინადან გაიცეს სამი წლის განმავლობაში 370,000 მანეთი.

მიწათმოქმედების დეპარტამენტმა გადასწყვიტა სცადოს ზოგიერთ ადგილებში აბრეშუმის ჭიის ბოსტნეული ბაღსებით გამოკება იმ მიზნით, რომ მეაბრეშუმეობა გაავრცელოს ისეთ ადგილებში, სადაც ბუილი ვერ სარბოს.

უძართებელსმა სენატმა განმარტა, რომ გუბერნატორი არა ვალდებული შეატყობინოს საბჭოს ის მიხეხები, რომლის მისედევით იმან არ დაამტკიცა საბჭოს მიერ ამორჩეული შირი ამ თუ იმ თანამდებობაზე.

28 მასის საერო განათლების სამინისტროს სადგომში დაიწყო სსლომები სსკოლო სკოლის რეორმის კომისიამ. კომისიის მუშაობის პროგრამა შემდეგი: 1) საშუალო საზოგადო განათლების სკოლის ორგანიზაციის ძირითად დებულებათა შემუშავება; 2) ამ სკოლისთვის გავითილების ასალი სქემის შედგენა; 3) შედგენა წესებისა, თუ როგორ უნდა შემოიღონ ძირითად დებულებათა მისედევით შედგენილი წესდება საშუალო სკოლისა; 4) შემუშავება წესებისა, თუ როგორ შეიძლება 1901—1902 სამოსწავლო წელშივე შეიცვალოს გლასიგურ გიმნაზიებში და რვალედ სასწავლებლებში აწსებული სქემა გავითილებისა, რათა რაც შეიძლება ადრე და მოსკრსებულათ იქმნეს შემოღებული საშუალო სკოლის ასალი წესდება; 5) საბუნებისმეტყველო და საქანონმდებლო სახენების და სამშობლოს აღწერის მასწავლებელთა შოვნა, რათა ამ მზრივ უსრუქელ ყოფილ იქმნას ასალი საშუალო სკოლა; 6) კითხვა საზოგადო საშუალო სკოლის მასწავლებლების და განსაკუთრებით ასალ ენების მასწავლებლებს მომზადების შესახებ და 7) საქვებო საშუალო სასწავლებლის ძირითად დებულებათა შემუშავება.

წერილი ციბირიდან.

როგორც ჩვენ გავვიგია და კიდევ ვსედავთ, რუსეთის ბუერი სსვა-და-სსვა გუთხეები არიან დარწმუნებული, რომ ვი-



თომც ციბიბირი სულ ოქროებით იქონს მოკუნტული და თუ
 კაცი ციბიბირში მოვიდა. დაჭეო სამი-ოთხი თვე. იმოდენა სე-
 მდიდრეს შეიძენს, რომ მერმეთ შეძლება მიეცემა უსრუნველათ
 ცხოვრებისა. ეს ხმა მიწვდა ჩვენს საქართველომდებრ და კა-
 დეტურ იწყეს იქიდან ციბიბირში წინა. დარწმუნებული ვარ, რომ
 ჩვენში, ვინც-ვი შეძლებული არის, ის ციბიბირში არსოდეს
 არ იფიქრებს წამოსვლას, რადგანც ეუფთა, რაც აქვს. მხო-
 ლთ წამოკლენ ისეთი პირები, რომლებიც სიმიდდრის მა-
 გიერ, ვაქეთ არიან დაჭკირთული. იფიქრობენ: «წავალ ციბ-
 ბირში, დავეჭოთ ნასკვარ წელიწადს, შევიძენ სიმიდდრეს, მე-
 რე დაგბრუნდება სამშობლოში, ვალებს გავვისდი და ვიწუებ
 სულ-ასლათ მშენაერს ცხოვრებასო». ეს იფიქრა საწყაღმა.
 მაგრამ სად უნდა იშოვას ესა იმან სამგზავრო ფულები?
 უკვლამ კარგათ იცის, რომ საწყალ კაცს სსკვ საშავლება არა
 აქვს რა, თუ არ გაჭიდა ან მიწა. ან სახლი, ან და თუ ვა-
 ლი ვაღს არ დაუმატა? რასაკვირველია, რომელიმე ზევით ჩა-
 მოთვლილი საშავლებით შოულობს იმოდენა ფულს, რამდე-
 ნიც ეუფთა ციბიბირში ჩამოსვლამდი და შემდეგ რომ იმედი
 აქვს, რადგან იფიქრობს, რომ ციბიბირი სულ ოქროებით არის
 სავსეო. ვალი ვაღს დაუმატა, დასტოვა ძვირფასი ცოლ-შვი-
 ლი, მტერი, მოყვარე, დასტოვა ედემის მგზავნი, ყოველივე
 ნაყოფით შეძეული თავის სამშობლო და მოკადა ციბიბირში.
 უნდა წარმოადგინო, კეთილყოლო, ასეთი პირების მდგომარე-
 უბა, როდესაც იქ წარმოადგენილი სიმიდდრის მაგიერათ, წილათ
 სვდება უადვილობა, შიმშილი, წყურვალი და შიშველ-ტიტვე-
 ლობა; რადგან ფული არაფერი ჩამოჭეოლია და ტან-ფეხსა-
 ცმელი რომ ცუდაობაში შემოაგლვას და არა თუ ახალის ყი-
 დვა, ზურის ფასს ვერ შოულობს. წარმოადგენელია ასეთი
 პირების მდგომარეობა, რა სასოწარკვეთილებაში ვარდებიან ეს
 უნუგეშობები! ბევრიც რომ დასძლიოს თავ-მოყვარობას და
 დააპიროს სასლში წასვლა, რითი წავიდეს? სასესსებლათ აქ
 რომ ვერ იშოვას, და ადგილ-მამული რომ არ მოპოება ვა-
 სავიდი? ფენითაც შეუძლებელია ამოდენა მანძილი გადმაროს.
 ზევით ჩამოთვლილი მისეხების გამო არა თუ მისგან ნაფიქრ
 ნასკვარ წელიწადში დაბრუნდეს სასლში, არამედ ადგილი შე-
 საძლებელია, მთელ თავის სიცოცხლეში გამოეთხოვოს სა-
 მშობლო ქვეყანას. მეც ამისთვის მინდა ჩემი სავყარელი სა-
 მშობლოს ზოგაერთ პირებს გავაჩნო ციბიბირი, რომ გა-
 ფრთხილდენ შემდეგისათვის. სიმართლე უნდა საჩქვას ვაგძმ, რომ
 ციბიბირში უფრო იშოვება ფული, ვინემ ჩვენს ქვეყანაში, (სა-
 ქართველოში), მაგრამ არა იმ პირებისთვის, რომელნიც უკაპე-
 იგოთ მოდინან. არამედ კაპიტალისტებისათვის, რომელთაც შე-
 უძლია იჯარით აიღოს რეინის გზის ღაინდაგზე სა-უშვირი
 და ოქროს სათხრელი ადგილები, რადგან ამ უკანასკნელ დრო-
 უბში ფული იშოვება მხოლოთ ამ ორ ალაგზე. ეს კაპიტა-
 ლისტები თუიციან სშირათ ისეუბენ ჯიბეს, მაგრამ თავსაც ბე-
 რჯულ აგებენ, რადგან ასეთ ტყე-ადგილებში ბლომათ იურიან
 თავს მარტო ცარცვა-გლეჯის შემუურე ვაზავები და მცირედი-
 სათვიანაც ადგილათ გაიბეჭებენ კაცს, რომ გამოასაღმონ წუ-
 თი სოფელს. რაც შეესება თვიურ მოკვამვირებს ანუ დღი-
